ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2661937

ნომერი: AR1412523

თარიღი : 13.06.2016

გაცემის თარიღი : 22.06.2016

გაცნობის თარიღი : 22.06.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩაჩავა , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა ნუცუბიძე პ/ნ 01005013245
- ქ.თბილისი დ.აღმაშენებლის 195

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. ,,ბონა დეა და კომპანია" კოდი: 404998320

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის AR1412523 13.06.2016 წ. პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ჩაჩავას ქუჩა N4–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის მომატებას გაცნობებთ:

ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს N24 (05.05.2016წ.) სხდომის მიერ მიეცა დადებითი რეკომენდაცია ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ჩაჩავას ქ. #4-ში არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.13.02.004.063), ფუნქციური ზონის სახეობა სამრეწველო ზონა 1-ის, საცოვრებელი ზონა 6-ით შეცვლას, შესაბამისად საკითხი შემდგომი განხილვისათვის გაგზავნილ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. დღევანდელი მდგომარეობით აღნიშნული ცვლილება ჯერ არ არის განხორციელებული, შესაბამისად ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა. ფუნქციური ზონის ოფიციალური ცვლილების შემდგომ. სამსახური კვლავ შესძლებს განიხილოს თქვენი მოთხოვნა კანონით დადგენილ ვადებში.

გარდა ამისა გაცნობებთ, ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოზე საკითხის განსახილველად დამატებით უნდა წარმოადგინოთ მიწის მესაკუთრის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თახმობა, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების კუთხით.

დოკუმენტაცია უნდა ატვირთოთ Tas.ge-ზე ამავე განაცხადის დახარვეზებულ და დამატებით ველებში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განცხადების ჩაბარებიდან 30 დღიანი ვადა მითითებული დოკუმენტების წარმოსადგენად; დანიშნულ ვადაში მოთხოვნილი დოკუმენტის არწარმოდგენის შემთხვევაში, საკითხი დარჩეს განუხილველი.

ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge